თანაშრომლობის ხელშეკრულება

(მემორანდუმი) პრაქტიკის შესახებ

ქ. თბილისი

16 სექტამბერი 2013 წელი

მუხლი 1. შეთანხმების მხარეები

1. ერთის მხრივ თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში უნივერსიტეტი), რექტორი ვალენტინა საყვარელიძე
2. მეორეს მხრივ შპს "აუდიტორული ფირმა ორბი" (შემდგომში პრაქტიკის ობიექტი) დირექტორი ბიჭიკო ზაკუტაშვილი

მუხლი 2. შეთანხმების საგანი

მხარეები თანხმდებიან, რომ გააჩნიათ ერთობლივი ინტერესები, რათა ხელი შეუწყონ მოსახლეობის დასაქმებას, მომავალი თაობების აღზრდას და განათლებით უზრუნველყოფას, კვალიფიკაციური კადრების მომზადებას და აუცილებლად მიაჩნიათ ითანამშრომლონ და დაამკვიდრომ ურთიერთთანამშრომლობის პრინციპები.

იმის შეგნებით, რომ იურიდიული და ეკონომიკის სფერო წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს დარგებს, მხარეები თანხმდებიან რომ ერთობლივი ძალებით უზრუნველყოფენ ბიზნესის ადმინისტრირების და იურიდიული კვალიფიკაციის მქონე კადრების აღზრდას.

მუხლი 3. მხარეთა ვალდებულებები

უნივერსიტეტი მემორანდუმის იდეათა რეალიზაციისთვის:

- ითვალისწინებს პრაქტიკის თემატიკის შემუშავების დროს პრაქტიკის ობიექტის რეკომენდაციებს

პრაქტიკის ობიექტი მემორანდუმის იდეათა რეალიზაციისთვის

- უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მოცულობისა და დატვირთვის პრაქტიკული კომპონენტების გავლას თავისი ტექნიკური ბაზისა და პერსონალის გამოყენებით.
- პრაქტიკის ორგანიზებულად წარმართვისთვის გამოიყოფა მენტორი, რომელიც პრაქტიკის პერიოდის განმავლობაში უზრუნველყოფს პროცესის წარმართვას და კონტროლს.

1. სასწავლო პროცესის წარმართვა განხორციელდება შესაბამისი დარგის სპეციალისტების - პრაქტიკის ობიექტის პრაქტიკოსი სპეციალისტის ზედამხედველობის ქვეშ და მონაწილეობით.

მუხლი 4. სასწავლო ბაზის გამოყენების საფასური

1. მხარეები თანხმდებიან, რომ პრაქტიკის ტექნოლოგიას დაარეგულირებენ კონკრეტული პერიოდისთვის დადგენილი წესების შესაბამისად, ჰუმანიტარული მიზნებიდან გამომდინარე, პრაქტიკის პროცესის წარმართვა მოხდება ანაზღაურების გარეშე.
2. ინვენტარის დაზიანების შემთხვევაში ხარჯებს აანაზღაურებს უნივერსიტეტი.
3. სასწავლო პროცესის წარმართველი სპეციალისტების შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს პრაქტიკის ობიექტი.

მუხლი 5. შეთანხმების სხვა დებულებები

- შეთანხმება დადებულია განუსაზღვრელი ვადით და ექვემდებარება გადასინჯვას ურთოერთშეთანხმების საფუძველზე.
- მემორანდუმით გათვალისწინებული პრაქტიკული კურსის გასავლელად უნივერსიტეტიდან გაგზავნილი სტუდენტების ოდენობა და პრაქტიკის ვადები განისაზღვრება უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების შესაბამისა, მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. შეთანხმება ატარებს წერილობით ხასიათს.
- ნებისმიერი საკითხი რომელიც არ არის რეგულირებული წინამდებარე მემორანდუმით შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა მოლაპარაკების გზით.

- მხარეები თანხმდებიან, რომ პრაქტიკის პროცესის ორგანიზება წარიმართება პრაქტიკის ობიექტზე არსებული წესების შესაბამისად და დაცვით, ასევე პრაქტიკის პროცესის დარეგულირება უნდა მოხდეს უნივერსიტეტის დებულებებით და შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსით.
- მემორანდუმი შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტად ქართულ ენაზე, რომელთაგან თითო ინახებაა მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები:

თბილისის ჰუმანიტარული	შპს აუდიტორული ფირმა " ორბი"
სასწავლო უნივერსიტეტი	
მისამართი: საქართველო, თბილისი	მისამართი: საქართველო,
თბილისი	
ბერი გაბრიელ სალოსის ქ. №31 N6	დავით ბაქრაძის ქ.
რექტორი	დირექტორი
ვალენტინა საყვარელიძე	ბიჭიკო ზაკუტაშვილი
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)